

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება პროექტი - „თვითმმართველობის პროცესის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის ერთ-ერთი ბენეფიციარია „სსიპ „ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი“.

პროექტის მიზანია საქართველოში მიმდინარე საჯარო სამსახურის რეფორმის პროცედურული ასპექტების განხორციელების ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციურად დეცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბება. პროექტი ითვალისწინებს: ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას; ცენტრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას ელექტრონული სწავლების (e-learning) სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ცენტრთან თანამშრომლობით სასწავლო პროგრამების შემუშავებას: „ტრენინგი მენეჯმენტში მუნიციპალიტეტების არჩეული გამგებლებისთვის“ და „ტრენინგი თვითმმართველობის დამწყებ საჯარო მოსამსახურეთათვის“.

პროექტის განხორციელების ვადებია: 2014 – 2016 წ.წ.